საჯარო კონსულტაციები და მათი მნიშვნელობა

გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ისევე, როგორც ძალადობის პრევენცია და მსხვერპლთა დაცვა, საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ამ მიმართულებით, რაც განპირობებული იყო მულტისექტორული მიდგომით და მიზანმიმართული, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებული პოლიტიკის განხორციელებით.

საერთაშორისო სტანდარტების და ნორმების ჰარმონიზების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები და გაჩნდა ახალი სამართლებრივი აქტები.

საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის პრაქტიკაში რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ, 2008 წლიდან რეგულარულად ხდება „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა“ ეროვნულ სამოქმედო გეგმების მიღება.

საქართველოს მთავრობისთვის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის ლეგიტიმაციის, სანდოობისა და ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების ჩართულობას არსებითი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ, ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ჰქონდათ დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის N286 დადგენილების თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია. გარდა ამისა, კომისიის კომპეტენციაში შედის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული ანგარიშგება (გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის დებულების მე-4 მუხლი).

2022-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების (მათ შორის კონსულტაციების) პროცესს კოორდინაციას უწევდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო. კონსულტაციების გამართვის პროცესის მიზანს წარმოადგენდა

სამოქალაქო სექტორის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა. სამუშაო პროცესში ჩართული იყვნენ როგორც დარგობრივი სამინისტროები და მუნიციპალიტეტები, ისე ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სახალხო დამცველის აპარატი, ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები. ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელი სფეროების, პრიორიტეტებისა და საქმიანობების იდენტიფიცირებისთვის შედგა სამუშაო შეხვედრები.

შეხვედრების შედეგად შემუშავებული სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია, უკუკავშირის მიღების მიზნით, გაზიარდა სახელმწიფო უწყებებში, არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

არაერთი სამუშაო შეხვედრის ორგანიზებასთან ერთად, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტის ელექტრონული ვერსია საჯარო კონსულტაციებისთვის გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს (სამსახური) ოფიციალურ ვებგვერდზე - www.myrights.gov.ge [1]

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი საჯარო განხილვისთვის ხელმისაწვდომი იყო 2022 წლის 29 ივლისიდან - 13 აგვისტომდე.

დაინტერესებულ პირებს, მითითებულ ვადაში, შესაძლებლობა ჰქონდათ ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტთან დაკავშირებული კომენტარები, რეკომენდაციები და წინადადებები წარედგინათ წერილობითი ფორმით ელ. ფოსტაზე humanrights@gov.ge ან/და დაკავშირებოდნენ ადამიანის უფლებათა სამდივნოს (სამსახურის) ნომერზე: 995 32 2990900, შემდეგ კი შიდა ნომერზე: 2339.

[1] http://myrights.gov.ge/ka/news/1915-samoqmedo-gegmebis-sajaro-konsultaciebtan

საჯარო კონსულტაციების გამართვის პრინციპები და მეთოდები

სამუშაო შეხვედრები და საჯარო კონსულტაციები ეფუძნებოდა მოქნილობის, შესაბამისობის, გამჭვირვალობის, სიცხადის, დროულობის, ინკლუზიურობის, ხელმისაწვდომობის, უკუკავშირის წარმოებისა და საჯარო ანგარიშგების პრინციპებს.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სამუშაო შეხვედრებისა და საჯარო კონსულტაციების დაგეგმვა განხორციელდა როგორც ტრანზაქციული კონსულტირების მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს ორმხრივ კომუნიკაციას, როდესაც აუდიტორია გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საკუთარ მოსაზრებებს, შენიშვნებს, შეხედულებებს აწვდიდა, ხოლო მაკოორდინირებელი ორგანო (ადამიანის უფლებათა სამდივნო) ამ ინფორმაციას აგროვებდა, ასევე ტრანსფორმირების მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს ორმხრივი კომუნიკაციის უმაღლეს დონეს, სადაც უწყებასა და აუდიტორიას შორის კონსულტაციების დროს არამხოლოდ ინფორმაციის გაცვლა ხორციელდებოდა, არამედ მიმდინარეობდა მსჯელობა, სიღრმისეული ანალიზი, დეტალური განხილვა და გადაწყვეტილებები ერთობლივი ძალისხმევით მიიღებოდა.

კონსულტაციის ენობრივი სიმარტივე

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა კონსულტაციებისთვის გამოქვეყნებულ იქნა ქართულ ენაზე, რომელიც ნაკლებადაა დატვირთული ტერმინოლოგიით, აბრევიატურებით, ბიუროკრატიული ენითა და რთული (განსაკუთრებით – ქვეწყობილი) წინადადებით;

საკონსულტაციოდ გამოსაქვეყნებელი დოკუმენტი წინასწარ იქნა წაკითხული პირის მიერ, რომელიც არ არის სფეროს ექსპერტი.

გამოქვეყნებულ დოკუმენტს ასევე თან ერთვოდა მოკლე მიმოხილვა, დოკუმენტის შინაარსის, ძირითადი მიგნებების, პრიორიტეტული საკითხების და კითხვების, ასევე, დოკუმენტის სტრუქტურის მიმოხილვის შესახებ.

განაცხადი საჯარო კონსულტაციებთან დაკავშირებით

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ინტერნეტზე წვდომა და ინტერნეტის ინფორმაციის მისაღებად გამოყენების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, ეროვნული სამოქმედო

გეგმის პროექტი კონსულტაციებისთვის, ერთ-ერთ მეთოდად გამოყენებულ იქნა ინტერნეტ სივრცე – სპეციალიზებული ვებგვერდი.[2]

კონსულტაციების შესახებ **განაცხადი** შეიცავდა, შემდეგ ინფორმაციას:

1. საკითხი, რომელზეც კონსულტაციები მიმდინარეობს;
2. კონსულტაციების მიზნები;
3. კონსულტაციების ვადები;
4. პასუხისმგებელი ორგანო და საკონტაქტო ინფორმაცია.

საჯარო კონსულტაციების დოკუმენტების პაკეტი

საჯარო კონსულტაციების **დოკუმენტების პაკეტი** ხელმისაწვდომი იყო კონსულტაციების შესახებ განაცხადის ვებგვერდით წარდგენისას და პაკეტი შედგებოდა შემდეგი დოკუმენტებისგან:

- ✓ ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი;
- ✓ ეროვნული სამოქმედო გეგმის დანართისგან (ნარატიული ნაწილისაგან): შესავალი, სიტუაციის ანალიზი, ხედვა, ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

საჯარო კონსულტაციების ვადები

ელექტრონული საჯარო კონსულტაციების შემთხვევაში, წერილობითი შენიშვნების/კომენტარების/შემოთავაზებების/რეკომენდაციების მიღების საბოლოო ვადა საჯარო კონსულტაციების დოკუმენტების პაკეტის განთავსების მომენტიდან **შეადგენდა 2 კვირას**.

ხაზგასასმელია, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმის ონლაინ სივრცეში საჯარო გამოქვეყნება და კომენტარების მიღება კონსულტაციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან და აუცილებელ მეთოდად მიიჩნევა. ამ მეთოდს ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა იყენებენ. ამ გზით, ერთი მხრივ, ფართო აუდიტორიის მოზიდვა ხდება, მეორე მხრივ, კომუნიკაციისას კომპლექსური და სტრუქტურირებული შეფასებებისა და მოსაზრებების მიღებაა შესაძლებელი. ეს მიდგომა ფორმალიზებულია და მასში დაინტერესებული მხარეების ჩართვაც შეიძლება.

აღსანიშნავია, რომ სისტემის მართვისა და ზედამხედველობისთვის, ასევე, პლატფორმის ტექნიკური მენეჯმენტის უზრუნველყოფისა და შეგროვებული ინფორმაციის ანალიზისთვის გამოყოფილ იქნა ადამიანის უფლებათა სამდივნოს თანამშრომელი.

[2] http://myrights.gov.ge/ka/news/1915-samoqmedo-gegmebis-sajaro-konsultaciebtan

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გარდა სახელმწიფო უწყებებისა, აქტიურად იყვნენ ჩართულები ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები.

საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია, რომ საჯარო კონსულტაციებისთვის შექმნილიყო კომუნიკაციის წრე. პროცესში ჩართვის შემდეგ დაინტერესებულმა სუბიექტებმა მიიღეს ინფორმაცია თუ რა შედეგი აქვს ამ ჩართულობას. მოსაზრებებისა და შენიშვნების მიღების შემდგომ, მათი ანალიზის და შეჯერების საფუძველზე ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ასახვა ხაზს უსვამს იმას, რომ ეს შეხედულებები გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნა.

შენიშვნები, კომენტარები, შემოთავაზებები და რეკომენდაციები წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტში.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა საქართველოს ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე

სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები

ორგანიზაციის დასახელება	რეკომენდაცია	გათვალისწინებულია	არ არის გათვალისწინებული
კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)	**1. აქტიოვბა 1.1.2:** ფორმალურ განათლებასთან ერთად კარგი იქნება თუ ხაზგასმული იქნება არაფორმალური განათლების როლი და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, როგორც ერთ-ერთი საქმიანობა;		აღნიშნული აქტივობა ემსახურება მხოლოდ ფორმალური განათლების ყველა საფეხურზე სასწავლო პროგრამების დახვეწა/გაუმჯობესებას ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების, მათ შორის, ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი სამართლებრივი მექანიზმების ინტეგრირებით. შესაბამისად წარმოდგენილი რეკომენდაცია ვერ იქნება გათვალისწინებული.
	2. აქტივობა 4.1.1. და 4.1.2: მნიშვნელოვანია დაემატოს კლიმატის ცვლილების ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციები. აქცენტი ისევ მხოლოდ COVID-19-ზეა.		4.1.1 არ არის მისაღები. 4.1.2 ამოღებულ იქნა. ამასთანავე, კოვიდ-19-ის ჩანაწერი შეიცვალა სიტყვით - პანდემია

	1.აქტივობა 1.1.1: ინდიკატორი 1.1.1.4: დაემატოს მაღალმთიანი რეგიონები.	გათვალისწინებულია	
	2.აქტივობა 3.1.2 : დაემატოს ჩანაწერი დისკრიმინაციული/შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის შესახებ;		გათვალისწინებული იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში.
თანასწორობის მოძრაობა (Equality Movement)	**3. აქტივობა 5.2.2 და 5.2.6:** სტატისტიკის წარმოებისას გამოიკვეთოს დისკრიმინაციული/შეუწყნარებლობის მოტივი (შესაბამისი ნიშანი).		5.2.2. გენდერული ნიშნით ქალის მიმართ ჩადენილ დანაშაულებსა და ოჯახური დანაშაულის ნიშნით სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემები მუშავდება (მინიმუმ 5 ნიშნით); 5.2.6 მომსახურებით მოსარგებლე პირთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები მუშავდება მინიმუმ 4 ნიშნით.
ქალთა ფონდი „სოხუმი“	**1.აქტივობა 1.1.6:** სასურველია პროგრამის მოქმედების გავრცელება იმ მოძალადეებზე, რომელთა მიმართ გამოცემულია დამცავი ორდერი და ასევე შემაკავებელი ორდერიც. ასევე სასურველია უფრო ფართო კატეგორიების გათვალისწინება პროგრამაში ჩასართავად (მათ შორის „პოტენციური“ მოძალადეები კრიზისული ოჯახებიდან, რთული	მოდიფიცირდა	

	ქცევის მოზარდები) და შესაბამისად ადაპტირებული მოდულების შემუშავება. ინდიკატორი: 50 სამიზნე - ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების საკმაოდ მცირე რაოდენობაა.		
	2. ამოცანა 2.2: პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებები: სასურველია, პარტნიორ უწყებათა შორის გამოიკვეთოს მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების როლი		ამოცანა არ ითვალისწინებს პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებების განსაზღვრას.
	3. აქტივობა 2.2.1: სახელმწიფო თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ძალადობის მსხვერპლზე მორგებული სერვისების გაუმჯობესება (მაგალითად მნიშვნელოვანია თავშესაფარში ისეთი მომსახურების დამატება, როგორიც არის: ძიძის/ბავშვის მოვლის პერსონალის შემოღება, იმისათვის, რომ ბენეფიციარმა შეძლოს შეთავაზებული სერვისებით სრულად სარგებლობა და ბავშვის მოვლა არ წარმოადგენდეს ბარიერს.		არ არის მისაღები, რადგან ეფექტიანობა ეხმიანება მსხვერპლის საჭიროებებს.
	4. აქტივობა 2.2.4: გარდა უნარებისა, ძალადობის მსხვერპლთა დასაქმების		აღნიშნული სამოქმედო გეგმით ვერ მოხერხდება გათვალისწინება.

	ხელშეწყობისთვის აუცილებელია, შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა სოციალური ინფრასტრუქტურის დანერგვის სახით. მაგ. ბავშვთა მოვლის სერვისების განვითარება და ამ პროცესში მუნიციპალიტეტის როლის გაზრდა (სახელმწიფო ბაღებში და სკოლებში გახანგრძლივებული ჯგუფების გახსნა, ბავშვთა დღის და საღამო ცენტრების შექმნა ან/და გაძლიერება ა.შ). აღნიშნული აქტივობის ინდიკატორი არის ძალიან ზოგადი და საბოლოოდ არ იძლევა მისი განხორციელების შეფასების შესაძლებლობას. აუცილებელია დაემატოს. მაგ. 1. დანერგილი პროგრამების თუ ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; 2. პროგრამებში და ღონისძიებებში ჩართული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა; აუცილებებლია არსებულ პასუხისმგებელ უწყებასთან ერთად აისახოს ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები, რადგან ცალკეულ უწყებას აქვს დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები და მნიშვნელოვანია მათი მხრიდან მოხდეს აღნიშნული პროგრამებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის გაზრდა. პარტნიორ უწყებად აუცილებლად უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტებიც.		
	5. ინდიკატორი 2.3.3:		აღნიშნული ჩანაწერით ხარისხის კონტროლი არ

	ინდიკატორებში არ არის ასახული თვისებრივი ინდიკატორი, რაც აღნიშნული ელექტრონული სასწავლო მოდულის ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას მოგვცემს. მაგალითად ჯანდაცვის პერსონალის მიერ რეფერირებული ძალადობის მსხვერპლი ქალების რაოდენობა (ადგილმდებარეობის მითითებით).		არის შესაძლებელი. არ არის მისაღები.
	6. აქტივობა 3.1.1: ინდიკატორში აღნიშნული 100 პოლიციელი არ არის საკმარისი. გარდა ამისა ინდიკატორი გადამზადებულ პოლიციელთა რაოდენობის და სქესის ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკის გარდა უნდა მოიცავდეს, გადამზადებული პოლიციელების ადგილმდებარეობის მითითებას. დღეს უაღრესად არასაკმარისი და აუცილებელია რეგიონებში პოლიციელთა გენდერული სენსიტიზაცია და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების და ცოდნის გაძლიერება. სასურველია ასევე მართლწესრიგი ინსპექტორების ინსტიტუსის რეპლიცირება და საქართველოს მთელს ტერიტორიაზე დანერგვა, რაც შესაძლოა ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების ქმედით ინსტრუმენტად იქცეს. ჩაემატოს აქტივობა: მართლწესრიგი ინსპექტორების რაოდენობის გაზრდა და ტერიტორიული/რეგიონული მოცვის გაფართოება.	ინდიკატორი მოდიფიცირდა - ,,ჩატარებულია წელიწადში 10 ტრენინგი“.	

	ინდიკატორი: მართლწესრიგი ინსპექტორების რაოდენობა, სქესისა და ადგილმდებარეობის მითითებით. მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრები.		
	7.აქტივობა 3.1.3 : დაემატოს: 112-ის „ჩუმი განგაშის“ ღილაკის გამოყენების სტატისტიკის სრულყოფა, რომელშიც გამოიკვეთება ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მიმართვის, და ბენეფიციარის სქესის, ასაკის და რეგიონის მიხედვით მონაცემები.		აღნიშნული აქტივობა ითვალისწინებს ჩუმი განგაშის ღილაკის ანალიზს.
	8. აქტივობა 3.1.5: ამ საკითხის გარდა აუცილებლად უნდა იყოს მითითებული მსხვერპლისთვის შესაბამისი სივრცის უზრუნველყოფის საკითხი. დღეს ბევრგან ეს სივრცე არაა იზოლირებული. (ფონდი სოხუმის კვლევის ერთერთი რეკომენდაცია (კვლევა - „სამართალდამცავი ორგანოების როლი და არსებული პრაქტიკა“) აუცილებელის შშს ადგილობრივი სამსახურების აღჭურვა, ინფრასტრუქტურის გამართვა, რათა პოლიციას შეეძლოს ძალადობის მსხვერპლ ქალთან გასაუბრება და ჩვენების მიღება კონფიდენციალურად, იზოლირებულ სივრცეში. შესაბამისი სივრცეების არსებულის არარსებობა აღრმავებს მსხვერპლში მეორად ვიქტიმიზაციას. აღნიშნული მიზნის ქვეშ არ არის ასახული სამართალდამცავ უწყებაში		ვერ მოხდება გათვალისწინება, რადგან უკავშირდება მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ და ფინანსურ რესურსს.

	ქალთა რაოდენობის ზრდა, ქალი გამომძიებლების, მათ შორის საპატრულო ეკიპაჟებში, უბნის ინსპექტორების და მართლწესრიგის ინსპექტორების რიგებში ქალთა რაოდენობის ზრდისკენ მიმართული ღონისძიებები. აღნიშნული არა მარტო გაზრდის ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ხარისხს, ის მნიშვნელოვანი პრევენციულ ფაქტორადაც იქცევა.		
	9. აქტივობა 3.1.6: რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების გადამზადება თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების განსაკუთრებით სოფლის ამბულატორების გადამზადება ამ საკითხებზე (ინდიკატორში გადამზადებულების რაოდენობა)		ეს საკითხები დაფარულია სხვა აქტივობებით.
	10. აქტივობა 5.1.3: მოცემული ინდიკატორი - „შექმნილია/გაუმჯობესებულია და ფუნქციონირებს თანამშრომლობის მექანიზმი“ არ იძლევა იმის შეფასების შესაძლებლობას თუ როგორ ფუნქციონირებს აღნიშნული თანამშრომლობის მექანიზმი. სასურველია ჩაემატოს „მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე	შეიცვალა ინდიკატორის ფორმულირება	

	პასუხისმგებელი პირებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, ადგილმდებარეობის მითითებით“, ჩატარებული შეხვედრების ოქმები და ანგარიშები. ასევე სასურველია აქტივობის სახით ინტეგრირდეს „მუნიციპალური გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისიების მექანიზმის დანერგვის ხელშეწყობა და თანამშრომლობა“. ინდიკატორები: - მაგ. 1. შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების მიღება. 2. მუნიციპალური უწყებათაშორისო კომისიებთან შეხვედრების რაოდენობა; 3. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისო კომისიის მუშაობის ანგარიშები.		
	11. აქტივობა 5.1.4: ინდიკატორებში სასურველია: ჩაემატოს 5.1.4.1. გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა, მასში ჩართული პირების რაოდენობის, სქესის და ადგილმდებარეობის მითითებით. 5.1.4.2. მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა, მასში ჩართული პირების	აღნიშნული აქტივობა ამოღებულია.	

	რაოდენობის, სქესის და ადგილმდებარეობის მითითებით.		
	12. ამოცანა 5.2: აქტივობებში დაემატოს: ძალადობრივი დამოკიდებულებების და ქცევის კორექციის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა ინდიკატორები: 1. მსჯავრდებული და პრობაციონერი მოძალადეების სტატისტიკა რომლებმაც გაიარეს პროგრამა. 2. დამცავი და შემაკავებელი ორდერით განსაზღვრულ იმ მოძალადეთა სტატისტიკა, რომლებმაც გაიარეს პროგრამა ასევე მონიტორინგის ნაწილში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების გათვალისწინება, რომელიც სახელმწიფოს მიერ მიწოდებული სერვისების ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას მოგვცემს. მხოლოდ ბენეფიციართა სტატისტიკა ამის შესაძლებლობას არ იძლევა. შესაბამისად შესაძლოა ეს ახალი ამოცანის სახით იყოს ასახული. ამოცანა: ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებები პასუხობს მსხვერპლთა/დაზარალებულთა საჭიროებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით	აქტივობები მოდიფიცირდა	

	აქტივობა: თავშესაფრიდან გასული ძალადობის მსხვერპლი ქალების და მათი შვილების მდგომარეობის მინიტორინგი და საჭიროებების შეფასება პასუხიმგებელი პირი: ქალთა მიმართ ძადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, პარტნიორი, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადების ორგანიზაციები. ინდიკატორი: განხორციელებული მონიტორინგის ანგარიში: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშები; თავშესაფრიდან გასული ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობიდან დასაქმებულთა და საცხოვრისით უზრუნვეყოფილთა პროცენტული რაოდენობა, ადგილმდებარეობის მიხედვით (ცხოვრების დამოუკიდებკად დაწყების შეუძლებლობის გამო, მსხვერპლთა ნაწილი იძულებულია დაუბრუნდეს მოძალადე პარტნიორებს და ძალადობრივ გარემოს). აქტივობა: ძალადობის ქცევის კორექციის პროგრამის მონიტორინგის და ეფექტიანობის შეფასების მექანიზმის შემუშავება (მონიტორინგის ინსტრუმენტის, პასუხისმგებელი უწყების და ვადების განსაზღვრით) და განხორციელება. ინდიკატორები: ძალადობის ქცევის კორექციის პროგრამის გავლენის		

	მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი შემუშავებული და დამტკიცებულია. მონიტორინგის ანგარიში. სტატისტიკა პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობიდან ძალადობის რეციდივის შესახებ.		
გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)	1. **ამოცანა 1.1, აქტივობის ინდიკატორი 1.1.1.3:** ვინაიდან გაეროს მოსახლეობის ფონდისთვის პრიორიტეტულია კაცების საოჯახო საქმეებში ჩართულობისა და მათი, როგორც პასუხისმგებლიან პარტნიორად ჩამოყალიბების ხელშეწყობა, დაფინანსების წყაროში შეგვიძლია მოვიაზროთ გაეროს მოსახლეობის ფონდი.	გათვალისწინებულია	
	2. ამოცანა 1.1, აქტივობა 1.1.1, აქტივობის ინდიკატორი 1.1.1.4-ში: საინფორმაციო შეხვედრების სტეიქჰოლდერებში დაემატოს „გ“ ქვეპუნქტი - შეხვედრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებთან და გოგოებთან.	აქტივობა და ინდიკატორი მოდიფიცირდა	
	3. აქტივობა 2.1.2: ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების(ეროვნული რეფერალური მექანიზმი) პროექტის		აქტივობის ფორმულირება ფარავს ყველა კონკრეტულ სამიზნე ჯგუფს.

	გადახედვა/დამტკიცება, მათ შორის, შშმ ქალთა და ხანდაზმულთა საჭიროებების გათვალისწინებით“.		
	4. ამოცანა 2.2: გთავაზობთ დაემატოს აქტივობა 2.2.6 შემდეგი რედაქციით: „ქალთა მიმართ/გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ჯანდაცვის სისტემის პასუხის გაძლიერება პილოტის გაფართოების გზით (სამეგრელოს რეგიონი, აჭარის ა.რ.)“		ბუნდოვანია რა საპილოტე პროგრამა იგულისხმება, ასევე ჯანდაცვის პასუხში რა მოიაზრება.
	5. ამოცანა 2.3: დაემატოს აქტივობა 2.3.5 შემდეგი რედაქციით პირველადი ჯანდაცვის სისტემის პროფესიონალების ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ ძალადობის, შესახებ სტანდარტული ოპერაციული პროცედურების ირგვლივ, მათ შორის, აფხაზეთში, საქართველო.“		აღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ვერ მოხერხდება გათვალისწინება.
	6. ამოცანა 5.2: გთავაზობთ დაემატოს აქტივობა „ხანდაზმულ პირებზე მორგებული პრევენციის, დაცვისა და დახმარების ღონისძიებების დაგეგმვის ხელშესაწყობად, ხანდაზმულ პირთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ დეტალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, მათ შორის, სქესის მიხედვით“		საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ამ ეტაპზე ვერ შეძლებს მოცემული ინფორმაციის დამუშავებას. შემოთავაზებული აქტივობა 5.2 ვერ დაემატება, გამომდინარე

	ამოცანა 5.2, გთავაზობთ დაემატოს აქტივობა „ადვოკატირების და პროგრამირების დაგეგმვის მიზნით, მეანობაში ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი“.		იქიდან, რომ არ არსებობს მეანობაში ძალადობის ზუსტი დეფინიცია.
	7. აქტივობის შედეგის ინდიკატორი 5.2.2.2: ამოცანა 5.2-ის, აქტივობა 5.2.2, ინდიკატორი 5.2.2.2 -ის ინდიკატორის დაემატოს მე-6 ქვეპუნქტი - შეზღუდული შესაძლებლობა		შემაკავებელი ორდერებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემები მუშავდება (მინიმუმ 4 ნიშნით): 1. მსხვერპლის და მოძალადის სქესი 2. მსხვერპლის და მოძალადის ასაკი 3. ძალადობის ფორმა 4. გეოგრაფიული მდებარეობა
	8.ამოცანა 5.2, აქტივობა 5.2.6: ინდიკატორში დაემატოს მე-6 ქვეპუნქტი - შშმ პირი.	გათვალისწინებულია	
Caucasus Open Space COS - ღია სივრცე კავკასია	**1.აქტივობის შედეგის ინდიკატორი 2.3.4.1:** ჩვენი ორგანიზაციის მანდატისა და გამოცდილების გათვალისწინებით (ვთანამშრომლობთ როგორც ადვოკატთა ასოციაციასთან, ასევე იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან მოსამართლეთა გაძლიერებისთვის) მიგვაჩნია რომ კარგი იქნება დაემატოს გაერთიანებული სამუშაო შეხვედრების მოწყობა	აღნიშნული აქტივობა იფარება უწყებათშორისი კომისიის შეხვედრებით, რომელიც ტარდება დებულებით გათვალისწინებული პერიოდულობით.	

	მოსამართლეებთან, პროკურორებთან და ადვოკატებთან პრაქტიკაში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების განხილვის მიზნით. ასევე, კარგი იქნება სახელმძღვანელო გაიდლაინების შემუშავება შეხვედრებზე შეჯერებული პოზიციების გათვალისწინებით.		
ევროპის საბჭო	1. **1.1.5.2 აქტივობის შედეგის ინდიკატორი:** საბაზისო: 78 (2021 წლის მონაცემი); სამიზნე: 100 შემოთავაზება: ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ძალადობაში მსჯავრდებული რამდენი პროცენტის მოცვა მოხდა პროგრამით და არა ცალკე აღებული რიცხვი. მაგალითად, თუ სულ მსჯავრდებული არის 200 ადამიანი და 50% ჩაერთო, ამით შეიძლება ვიმსჯელოთ პროგრამას რამდენად კარგი დაფარვა აქვს. ხოლო ცალკე აღებული რაოდენობა მსჯელობის შესაძლებლობას არ გვაძლევს. აქედან გამომდინარე, ჩემი შემოთავაზება იქნება, მოძალადე მსჯავრდებულთა - ..% გაიარა ქცევის კორექციის პროგრამა.	აღნიშნული ინდიკატორი ამოღებულია.	
ევროკავშირი	**2. ამოცანა 2.2:** შემოთავაზებაა დაემატოს შემდეგი შინაარსის საქმიანობა:		არ არის გათვალისწინებული

	2.2.5 თავშესაფრის შემდგომი სერვისების განვითარების მიზნით საუკეთესო პრაქტიკების შესახებ საბაზისო კვლევის გაკეთება. აღნიშნული კვლევის მხარდაჭერას ევროპის საბჭო უზრუნველყოფს.		
	3. ამოცანა 5.2: შემოთავაზება: გარდა სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისა, მნიშვნელოვანია ყოველწლიურად უწყებების მხრიდან ამ მონაცემების გაანალიზება - პროგრესის და გამოწვევების შეფასება, რათა შემდგომი წლის საქმიანობა ბრმად არ დაიგეგმოს. ამდენად, შემოთავაზება იქნება პრევენციის ან სტატისტიკა მონიტორინგის ნაწილში დაემატოს შსს და პროკურატურის მიერ ქალთა მიმართა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ყოველწლიური მოკლე ანგარიშების გამოქვეყნება, რომელიც სტატისტიკასთან ერთად ანალიტიკურ მსჯელობასაც მოიცავს.		არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული აქტივობა იფარება უწყებათშორისი თანამშრომლობის ფორმატებით.
	1. აქტივობა 1.1. რატომ არის შეტანილი მხოლოდ კონკრეტული აქტივობები, რომლებიც გათვლილია მამაკაცებზე/ბიჭებზე.	ამოღებულია	
დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი	1. **აქტივობა 5.2.1:** მიზანშეწონილია სტატისტიკის წარმოებამ მოიცვას ასევე ფემიციდის სტატისტიკის წარმოება და გასაჯაროება.		სამოქმედო გეგმა მეტად ვერ დააკონკრეტებს კონცეფციის დანერგვა/განხორციელების ნაბიჯებს.

	სამოქმედო გეგმაში უფრო ნათლად და მკაფიოდ უნდა გაიწეროს, როგორ, რა ნაბიჯების საშუალებით განხორციელდება/დაინერგება კონცეფცია პრაქტიკაში.		
სახალხო დამცველი	**1.ამოცანა 1.1, აქტივობის ინდიკატორი 1.1.1.3:** გთავაზობთ ინდიკატორის შემდეგ ფორმულირებას: ღონისძიებების რაოდენობა რომელიც ჩატარდა კაცებისა და ბიჭების ჩართულობით, აქცენტით შინ შრომის/ოჯახური პასუხისმგებლობების თანაბარი გადანაწილების მნიშვნელობაზე.	აღნიშნული ინდიკატორი ამოღებულია	
	2. **ამოცანა 1.1, აქტივობა 1.1.1, აქტივობის ინდიკატორი 1.1.1.4-ში:** მნიშვნელოვანია დაემატოს შშმ პირთა ჯგუფი;	აღნიშნული ინდიკატორი ამოღებულია	
	3. 2.1.1. აქტივობის შედეგის ინდიკატორი: გულისხმობს კომპენსაციის გაცემის წესის პროექტის შემუშავებას და წარდგენას დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობაში, მნიშვნელოვანია ფორმულირდეს შემდეგნაირად: კომპენსაციის გაცემის წესის პროექტი შემუშავებულია და დამტკიცებული.	გათვალისწინებულია	
	4. 2.1.2. აქტივობის შედეგის ინდიკატორი: მიზანშეწონილია ამოცანის ინდიკატორის ფორმულირების	გათვალისწინებულია	

	ცვლილება შემდეგნაირად: პროექტი შემუშავებულია და დამტკიცებულია.		
	5. 2.1.3 აქტივობა: სასურველია ცვლილებების დაზუსტება; კერძოდ რა მოიაზრება ცვლილებებში;		ცვლილებების დაზუსტება აქტივობის სახით არ არის შესაძლებელი.
	6. 2.1.4 აქტივობა: მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაემატოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის გაძლიერება, კოორდინატორთა ფუნქციისა და რაოდენობის ზრდა. ხოლო პასუხისმგებელ უწყებებში დამატებულ იქნას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა.	**აქტივობის ფორმულირება გათვალისწინებულია**	
	7. 2.1.5. აქტივობა: ამოცანა გულისხმობს სოციალური მუშაკებისთვის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მუშაობისთვის სპეციალური სახელმძღვანელო წესების შემუშავებას და დანერგვას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაემატოს ინდიკატორი სოციალური მუშაკების გადამზადება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე;	**აქტივობები მოდიფიცირდა შემოთავაზების მიხედვით**	არ არის გათვალისწინებული, რადგან სამთავრობო გეგმა ვერ გაითვალისწინებს მოსამართლეთა გადამზადებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე

	ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგადად გეგმაში დაემატოს მოსამართლეთა გადამზადება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე;		
	8. აქტივობის შედეგის ინდიკატორი: 2.3.2.1 ინდიკატორს სასურველია დაემატოს თავშესაფრებში დასაქმებულ ყველა თანამშრომლის გადამზადება, მათ შორის ბუღალტერი, დამლაგებელი, დაცვა		აღნიშნულ ინდიკატორში სამიზნე ჯგუფები ჩამოთვლილია.
	9. აქტივობა 4.1.3: რომელიც გულისხმობს საგანგებო სიტუაციებში, განსაკუთრებით COVID 19 პანდემიის პერიოდში, თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების გამართული, უსაფრთხო და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შემუშავება და დანერგვა ან/და მოქმედი შესაბამისი/სპეციალური ზომების გადახედვას და დახვეწას. ვინაიდან საგანგებო სიტუაციების დროს თავშესაფრის და კრიზისული ცენტრის გამართულ მუშაობასთან ერთად შსს-ს ეფექტიანი მუშაობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაემატოს შემდეგი ინფორმაცია ,,დამატებითი პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მესიჯების/ინფორმაციების მიწოდება და საგანგებო სიტუაციების დროს		პრევენციის გეგმის შედგენა გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის პრევენციის ნაწილში. საგანგებო სიტუაციების თავში მისი გათვალისწინება არ არის მიზანშეწონილი.

	ოჯახში ძალადობის შემთხვევების პრიორიტეტად განსაზღვრა.		
	10. აქტივობის შედეგის ინდიკატორი 5.2.2.2: 5.2.2.2 ინდიკატორს შემაკავებელ ორდერებთან დაკავშირებით სტატისტიკის შეგროვებასთან ერთად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დაემატოს GPS მონიტორინგის სისტემის გამოყენების შესახებ სტატისტიკის შეგროვება/ანალიზი;		შემაკავებელი ორდერებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემები მუშავდება (მინიმუმ 4 ნიშნით): 1. მსხვერპლის და მოძალადის სქესი 2. მსხვერპლის და მოძალადის ასაკი 3. ძალადობის ფორმა 4. გეოგრაფიული მდებარეობა.